

# ნიაზი



ნახ. ა. კანდელაკისა


## მამაკაცი

ომგადახდელი, გამარჯვებული,  
კვლავ უბრუნდება მშობლიურ კერას,  
საყვარელ ოჯახს ხედავს ბედნიერს  
და გული უწყებს ხალისით ძვერას:  
მათ მკერდზეც ხედავს ვმირობის ჯილდოს,

და უხარია ვმირს—ბედნიერსა,  
რომ როცა თვითონ ფრონტზე მტერს ლეწდა—  
მისი ოჯახიც უტევდა მტერსა!  
სალამი დევვმირს! დღეიდან ისევ  
ბედნიერ ურომას მოჰკიდებს ხელსა!

პარიზში ჩაიყვანეს დაპატიმრებული ლავალი. პეტენის პროცესზე მოწმედ გამოსული ლავალი ყოველმხრივ ცდილობს გაამართლოს პეტენის დანაშაულობანი.

ნახ. დონისა



პეტენს კულად გამოხშია ეს ლავალი გაიძვრა,— კულდი მოწმობს ბებერ მელას, მელამ კული შეიფერა,— მაგრამ კული იმათ, ფონზე ვერ გაიყვანს ვერა, გერა!

დიდი და ღირსსაცნობელი მრავალი მოხდა ამბავი, ზოგი გზაშია, ჯერ მოდის, ზოგია დანასტამბავი, მაგრამ ნიანგი ოდითვე ლოდინს როდია ჩვეული, ისწრაფვის ამცნოს თავის მრევლს—ინფორმაცია არჩეული. პირველად, რაღა თქმა უნდა, ყველა ბერლინზე იკითხავს: ბერლინი ის აღარ არი, „აგერ რომ იყო,— იქით ხანს“ ის კერა აგრესიისა, ის ნაცისტური ბუნავი, ქვეყნიერებას ომის და ნგრევის რომ მოხდო ხუნავი— დღეს ქუთის სწავლის კურსებზე შეყვანილი გვეყავს, აგეთი, საწვინევი სწვინა, რომ ახლა ბეჯითად სწავლობს გაკვეთილს! ჰოდა აი, იმ ბერლინში, დასრულდა კონფერენცია, საკაცობრიო რამ მოხდა—ამას რად უნდა ლექცია? დადგინდა—შფოთის და ომის თუ სადმე დარჩა ბაცილაც— ძირფესვიანად მოისპოს— მთლიანად, არა ნაწილად, რომ იფურქულმა ბუნებამ კვლავ არ გაფურჩქნოს ნდომანი, და არ დაიწყოს ჩვეული თავის წელსწემოდ ხტომანი! ვინც ქარი სთესა—მან უნდა მოიმკოს ქარიშხალია, შიტლერთან მხარდამხარ ყოფნის—ვისაც მიუძღვის ბრალია, მანვე უნდა ზღოს, რაც მოსპო ჩვენი სიკეთის საგანი და გარდაიქმნას ბუნებით და გახდეს იმათაგანი, ვის საზანდიტოდ არა აქვს ნატვრად მაუფერ—ნაგანი, ვინც არ ოცნებობს—მაწოვარ დედას მოსტაცოს აკვანი! როს ამ გამოცდას დაიჭერს მთლად გერმანელი ხალხია, ბაშუსტა! მან სხვა დემოკრატ ხალხთან აბრუნოს ჩარხია. დიდათ ეამა ეს საქმე, ვისაც კი უყვარს მშვიდობა, მაგრამ ვინც თვალთმაქცობით და ბნელ ზრახვით ავებს კილოხანს, გულდაწყვეტილი დაგვიჩა, უმატა ტემპერატურამ, მან თავი, კალმის წრიბინით, სხვაგვარად დააკანტურა: ჯახი იალჩინს რა ესმა ამ კომუნისტს ამბავი— მყისვე შეიქმნა მოთქმების გლოვის კილოზე მსტამბავი: —ყყ—არა—უ—ულ! სად ხარ, არიქა, ქვეყანა იღუბებოა, თუ მილიტარულ ნაციზმის ბუდე მთლად მოიშლებოა! ის ცალი თვალთ ატირდა, მეორე დააბაჭუნა, და, ხელი ფრანკოს ტელეფონს—კანკალით მოუცაცუნა! —ალთო იალჩინ, შენ სტირი? მეც მეტირება ძამია,— მაგრამ მე ფოკუსს ვაკეთებ, მაცალე ერთი წამია,— უთხრა მას ფრანკომ სლუჟუნით და ფიქრში გეგმა აჯგუფა, და ტიკინები „დემოკრატ მთავრობად“ წამოასკუბა! სურს შეიჩინოს მით პოსტი—ტპილი თვის სიცოცხლეზედა, მაგრამ კვლავ კაბუტა.. ეს ქურდიც დაქერილია თხლეზედა. არგენტინაშიც ატირდენ—ის ნაცისტური ტუზები, შიტლერის ჩაფლავებზე, ბზუიან როგორც ბუზები, მაგრამ იმ ნაცემ ვირთავას ვით მოურჩინონ კუზები? კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო ამბობენ, და კუზიანი ვინც დარჩა—ფართიფურთხ ტყვილა ლამობენ, მათთვის სამარე გათხრილი აწ ისტორიის ხელითა, მზად არის, კაცობრიობის ამრევთ—ის უკვე ელითა!

ფარსადანი

ახალი სუკათები

1. უცნობი უვილი.

ეზოში სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი შემოვიდა, კარმიდამოს გადაჰხედა, ჩანთა ჩამოიხსნა და დაიძახა: — თამარ, თამრო არა ხარ, ქალო! აივანზე ქალი გამოვიდა. მას მოზრდილი ბავშვი ეჭირა ხელში. მოსულს დააკვირდა, ბავშვი ძირს დასვა, კიბეზე ჩამოირბინა და... ცოლქმარი ერთიმეორეს გადაეხვივნენ. აივანზე დარჩენილმა ოთხი წლის ბავშვმა სასწრაფოდ მოძებნა აგურის ნატეხი, გამეტებით ესროლა ახალმოსულს და ხმამაღლა ატირდა: — მო-იც-ა-ა მა-მა-მო-ვი-დეს... თუ ალ უთ-ქლა ა...

2. უთაბავდილების მიხედვით

თბილისის მკვიდრს, დავით ცებაძეს. ოთხი წელიწადია არ უნახავს მშობელი ქალაქი. ახლა, როცა არმიიდან დაბრუნდა, ხარბად ათვარიელებს თბილისის ქუჩებს. რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარა, ყველაფერი რიგზეა. კარლ მარქსის ხილზე გაიარა, აქაც ძველებურადაა ყველაფერი, მაგრამ კალინინის ქუჩის დასაწყისმა დააფიქრა; ეს ადგილი ისე გამოცვლილა, იეღარ იცნო. — ამონგრეული ტროტუარები, ჩასავარდნი ორმოები, ეს რილასგან უნდა იყოს ნეტა?—დაფიქრდა დავითი, კარგახანს იყურა და დარწმუნებით წამოიძახა: — ალბად თბილისიც დაბომბეს, იმ ძალთაპირებმა!

გ. მიუზი „კაეზანისა“

სოფელში, წყაროსთან ქალები ბაასობენ: — ახლა, ალბათ, თებრო აღარც კი გვიკადრებს. — რათა ქა, რატომ არ უნდა გიკადროთ? — ქმარი ყველაზე პირველად ჩამოგივიდა და იმიტომ. — ჩამოვიდა, თორემ ვაი იმ ჩამოსვლას! — რა იყო, ქა, ხომ არაფერი დაემართა? — მეტი რა უნდა დამართოდა, გენაცვალეთ! — ფეხი მოიტეხა? — რას ამბობ, ქა! — მაშ მკლავი? — არც მკლავი. — მაშ? — მაშ ხომ არ დაბრმავებულა? — ნეტავი მე დავბრმავებულიყავ და ისე არ მენახა. — რა მოუვიდა, ქა, აღარ იტყვი? — რა და ისე გასუქებულა, ლიპიან ბურჯუას დამგვანებია. მოვიდა, უცბად მაკოცა. დავიკვილე და გავიქეცი. ქა, სანამ არ მითხრა სანდრო ვარო, ვეღარ ვიცანი.

# ჩვენებური, თბილისური

## რას მოვიპოვებთ...

აბანოს კარებს მივუახლოვდით:

- დირექტორი აქ არის?
- არა, აბანოში წავიდა...
- როგორ, კაცო?
- ასეა გენაცვალე, ერთხელ რომ დაშინდა ახლა საბანაოდ სხვაგან დადის, მგონია ეხლა იქ არის წასული.
- აბანო მუშაობს?



- არ გიცი, ეხლავე გავიგებ, — მითხრა დარაჯმა და კიბეები ჩაირბინა.
- დარაჯს უკან ჩავსდით, ნახევრად გასაპნული ვიყავი, რომ უცბათ ვილაცამ დამავლო ხელი და ქვის ტახტზე გამშობა, შემდგა ამ ტიტველ ზურგზე და სულ ლაწა-ლუწი ამიყენა.
- ვაიმე... ვინა ხარ... რას შვრები! — ვიყვირე.
- რა გაყვირებს კაცო, მექისე ვარ.
- რად მინდა მექისე, ვინ დაგპატიუა?
- ვა! ჩემს სახლში რაღა შენი პატივი მინდა...
- უცბად ვილაცამ საშინლად დაიღრიალა.
- მიშველეთ... თავზე აბაზანის მიღები დამეცა, მიშველეთ...
- ვინა ხარ, კაცო? — ვკითხე წაქცეულს.
- მე ამ აბანოს დირექტორი ვარ, მიშველეთ...
- რაც მოგივა დავითაო... — წამოიძახა იქვე მდგომ დარაჯმა და ერთი გულიანად გადაიხარხარა...

## ახიკაბული მზირავი

ერთხელ მატარებლიდან გადმოვედი თუ არა ბარგის მზიდავმა ჩემოდანს ხელი დაავლო.

- ამხანაგო, არ გვინდა წაღება.
- რამ შეგაშინა შე კაცო, სადგურის მოედნამდე მიგიტანთ, სულ არ მინდა შენი ფული, — მითხრა მან.
- არ გვინდა ბატონო, არა, ამოდენა კაცი მაგას ვერ მოვერევი?
- თქვენ ნუ შესწუხდებით ბატონო, ნამგზავრი ხართ, დაილღებით, — ამბობს მზიდავი და თან მიდის.
- შეჩერდი კაცო, რომ გეუბნები...
- ა, ბატონო, ა! — სთქვა მზიდავმა და მხრებიდან ჩამოღებისას ჩემოდანი გაიხსნა, ერთი საწყალი ლიტრი არაყი ასფალტზე გადმოვარდა და გატყდა, ხოლო კეცზე ოდნავ დამწვარი ხაჭაპური ფეხსაცმლის მწმენდელს შეუგორდა მუხლებში...

— ესაა საქმე? — წამოვიძახე და ბოთლის ნამსხვრევებს გულმოკლულად გადავხედე...

- ფული...
- რის ფული, კაცო?
- რისი და აქამდე რომ ვათრიე ეს ჩემოდანი, ღარც არაყი გაქვს და არც ფული მოგთხოვო?

ძლივს მოვიშორე ეს ახირებული მზიდავი, რომელიც შემდეგ ფეხსაცმლის მწმენდელს კიდევ დიდხანს ეჩხუბებოდა ხაჭაპურზე.


## თავაზიანი პაკიპახეი

საპარიკმახეროში შევედი (რომელ საპარიკმახეროშიო, იკითხავს მკითხველი, მაგრამ განა სულ ერთი არ არის!?).

- დანა ხომ არ გაწუხებთ ბატონო? როგორ მიბრძანებთ, კისერი მანქანით ამოგიღოთ? თუ შეიძლება ბოდიშს კი ვიხდი და ზევით აიხედეთ... თუ არ შეწუხდებით, თავი ოდნავ დახარეთ, — და ასე შემდეგ დაუსრულებლად.

ძალიან გამაკვირვა პარიკმახერის ასეთმა თავაზიანობამ, ამას დაუმატეთ ისიც რომ წვერის გაპარსვაში არაფრის დიდებით ხუთ მინუტზე მეტი არ აიღო.

კარგა მანძილი მქონდა გავლილი რომ ვილაცამ ბეჭზე დამარტყა ხელი. შევხედე — ჩემს წინ ნარბენი და ენაგადმოვადებული პარიკმახერი იდგა.



- ფული...
- რა ფული, კაცო, ხომ მოგეცი?..
- მაიმუნობას თავი დაანებე, გეუბნები ფული ამოიღე...
- ხომ გაძლიე შე კაცო, რატომ არ წაიღე, ხუთ მინუტზე მეტი...
- იმიტომ რომ იქ ჩვენი ტრესტის დირექტორი წვერს იპარსავდა.
- ვიდრე წითელი სამთუმნიანი არ მივეცი, ვერ მოვიშორე...

## სწორი ახსნა-განმარტება

ერთხელ სამი ამხანაგი ფუნიკულიორს მივადექით.

- ისევე ფეხით სჯობია, — გადავწყვიტეთ და აღმართს შევუდექით.
- ესეც შენი ფუნიკულიორი, — ჩავილაპარაკე ასვლისას, — აღმართიც გავათავეთ და ჩვენც გავთავადით.
- კი მაგრამ სკამების მეტი არაფერი გაქვთ? — ჰკითხა მეგობარმა ადგილობრივ დირექციის წარმომადგენელს.

— ვითომ მაინც რა გინდა იყოს, დასკვნების პარკი იმიტომ ჰქვია, რომ უნდა დასკვნა და დაისვენო. შენის აზრით ეს მიწოდების შენობები და დაკეტილი კიოსკები ახალგაზრდას?

- შე კაცო, ასეთები ხომ მუშაობდნენ გვაქვს...

— ნუ იცით, კაცო, ყველაფრის დაწუნება, რა გაქვთ მუშაობდნენ! ასეთი მინდორი გაქვთ? არა, კოჯრის ნიავე გაქვთ? — არა, იქ მტკვარი ან ოქროყანა ასე მოსიანს? არა, თვით მუშაობდნენ ფუნიკულიორი გაქვთ? არა... თქვენი საბავშვო მატარებელი უფრო იშვიათად მუშაობს, თუ ჩვენი ტრამვაი? რა თქმა უნდა, ჩვენი. ჰო და როცა არ იცი — შე უნდა დამიჯერო. დააღე პირი და ყლაპე უფასოთ ეს სუფთა ჰაერი. მიტომ ქვია ამ მთას ფუნიკულიორი, ბიძია, აბა!..

## ჭკუის დაკვირვა...


— უკვე ზაფხულია, სიცხეები დადგა, ეზოში უამრავმა ნავაგმა მოიყარა თავი, სუნი გვაწუხებს, ვიბრზობით, — ასეთი სიტყვებით მომმართავენ ყოველ წუთში ჩვენი ეზოს მცხოვრებნი. აქამდე მოგეცა ლხენა იოლად გავდიოდით პასუხი კარგი მქონდა, ომიათქო ვიძახდი, მაგრამ ახლა? რა ვქნა, მიშველე, მასწავლე რაიმე, როგორ ვუპასუხო ამ ახირებულ ხალხს... — ასე ესაუბრებოდა ერთი კაცი მეორეს.

- მერე რა ქენი, თავის გასასამართლებელი ვერაფერი გამოძებნე?
- ვერა. რა არ ვიფიქრე, მაგრამ ამოდ...
- აი შე ჩერჩეტო, როცა გითხრან ომი გათავდაო, შენც ადექი და ასე უპასუხე: მართალია ომი გათავდა, მაგრამ ნავაგი კი არ გათავებულათქო. — უპასუხა მეორემ.
- ვინ იყვნენ ისინი ასე გულდაგულ რომ საუბრობდნენ?
- მეზობელი სახლების კომენდანტები, — მიპასუხა მეგობარმა.

## გამჭკიანხი...

ტროლეიბუსის რიგში ვიდექი.

- მოქალაქენო! ყველაზე უფრო ვის გიყვართ ტროლეიბუსით მგზავრობა? — იკითხა ტროლეიბუსის მძღოლმა.



- მე... მე... — ყვიროდა ყველა.
- ყველაზე უფრო ვის გეჩქარებათ?
- მე... მე... მე... — კვლავ ისმოდა ხმები.
- მაშ ტროლეიბუსს უკან მოაწექით და სირბილით პარკამდე ხელად მივალთ, — სთქვა შოფერმა და საქმეს შეუდგა.



უცხოური ცხოველია, ახალად იცით რომელია. წინ მოკლედ და უკან გრძელი ფეხები აქვს საბაგელი. პირიც—გრძელი, როგორც წაღლი, დატარებს შეილებს კალით, ამ ცხოველმა, ერთხელ, სცადა, საქმიანად, მაგრამ საღად შეღანძმული ძველი სირო შეაკეთოს, შეისწროს. (სირო მეთქი... შევეცდა განა, იხე, რითმამ მოიცანა.) შეადგინა გრძელი იზონა ადგა, აღარ დაუფრენა, და ესტუმრა სასაურჩოდ სახლთა სამმართველოს უფროსს. ცდა მოეხდა. სიროს ნახვას თითქმის მთელი დღე გაღამებდა.

(სახლთა საქმეს, საადგილოს განაგებდა მამინ სპილო.) ძლივს აიღვა მუწეი ენა, სპილოს ასე მოახებინა: — ჩამოინერა ბინის კერი, კედლებზე უნდა ვჯრი. ნებანი ჩემი ბინა, უსინათლო, უარატირა— დაინერვა დღეს თუ ხვალე და ზამთარიც მოვა მალე. სპილომ თხოვნა შეიწყინა და მიუგო დანებდა წყნარად: — თქვენ ეხლავე გინდათ შევილა, მაგრამ... (განზრახ ჩაახველა) ეს ადვილი არის განა, პათხა შენისთანა. ამ საქმეზე, ამას წინად, თხოვენი ვახლდათ აქ თრითინა. თავიც იყო, მოხოვდა ბინა, ძირს წრუწუნით ჩაირბინა, დღესაც იყო აქ ბედურა, მხოლოდ—ბუდი დამხეზურა. აი, მალე მოვა წავიცო, მასაც უნდა თავსაცეცო.

## ქ ე ნ უ რ შ უ



(შხალტუბერი)

ზოგს—ბუნჯია ზოგს—ბუდე, ზოგსაც აუშემდეგე. ზოგის ბინა ვიკავლე, იცი, როგორ ვიკავლე? ვერ გამოსოკოცის ენაც ამდენ დამამსდენ სცენას. უსახხროდ ვაჭრებმეველი, ვაფუხლამდე ვეგაშველი. ვაგომბურდა. კი პირი, იძლიად მიღის მისტარის: ...ღმერთო ჩემდარიჩი მარტო, ვის შევიგებლოს მივმაროთ შორისა ვიცი—თავიდან ზამთარს ვეღვადავიდან... ამ დროს შეხეჯეკო მელა, კულდესნცარა, რუმელა: — მიწმობლესციხის ფლიდალ) შეწე გული ძვლითა. მითშორე ცრებს კავლი. ურთი მივდე, სს ვასწავლი. დიდხანს ვიყავ შენს დღეში,

უბრალოდ ვივდე ტყეში. ბეტრეჯარ ვიყავ სახლოსთანაც მაგრამ, შენს მდერს იმისთანა. კარეს არაფერს მისურებდა, სულ უარით მიხატებრებდა. დღესაც—არა, ხვალაც—არა, ასე მთელი თავე მატარა. ძლივს გადფურჩი შარშან ზამთარს, ბედვავს, აბა, რას მიზამდე? ბოლოს ერთი ხერხი ცვაღი, სპილოს აღარ დაფუტედი: მიფუტედი ზღარბს მამალი, შენთან რა მაქვს ღსამალთ თრი ჭუჭუცი. —ორი მარაგე წყვილი და მარგს მივართვი. იხე, ბატი და კათამი, მცირე ძღვენი, განა ქრთამი— ავეღეკი და ნელა-ნელა მივმტანე ბრმა თხუნელას. ამ სორაგებს კამდა მგელიც, მუნჯეცი და საბაგელი. და მას შედეგე—უველა ზღარბი, თხუნელა თუ მარგის ხარბი, დატარაღდა ჩემთვის უველა,

ჩუმად კრკვინი მომეშველა. მგელიც ფიჭვეშ გამეფინა, მენამე დღეს მომცეს ბინა. და სპილოს კი, საწყალ სილოს მსურს, რომ კიდევ ვამაწილოს. არც კი იცის ჩვენმა სპილომ, იმ სულელმა, სასაცილომ— კმაყოფილი, რომ გარ დღად, ბინა მაქვს და ვცხოვრობ მშვიდად. რა ბრავეცა, ღმერთო ჩემო, რა არ ზღებდა მის გარშე? თუ კაცი მას მოეგონებს. ჩემი ხერხი ცნობილია, უველა ჩემი ძმობილია! მალე შენც მოეგონება! ალიო მათხევილი





როცა ნიანგი ერთერთ კულტურისა და დასვენების პარკში შევიდა, ესტრადიდან მოესმა ქალის ტური-სებური კივილი, ხოლო აქეთ, ცოტა მოშორებით შემოხვდა ლულით „დასვენებული“ მაყურებლების დიდი ჯგუფი. ნიანგმა ამის გამო ხსენებულ პარკს დროებით უწოდა „კულტურისა და დასვენების პარკი“.

### შორსმჭვრედი

განსწავლული კაცია პიპინია გორგაძემლი. მართალია, მან დიდის გაჭირ-ვებით დამთავრა სოფ. ჭაქანის საშუალო სკოლა, მაგრამ განა დიდი ასპოეზის ადამიანებში ბევრს არ დამართია ასე?

პიპინიამ მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ იგი ვერ დააკმაყოფილა სასწავლებლის კედლებმა და გადასწყვიტა სახელის მოხვეჭისათვის უფრო ხელ-საყრელი „ხელობა“ მოენახა. მართლაც სულ მალე პიპინია გორგაძემლი ერთერთ საშუალო ცნობილ რაიონში მოეწყო კლუბის დირექტორად. რეჟისორობაც მანვე იკისრა, რადგან თავის თავს შეამჩნია-ამის ნიჭი.

პირველ პრემიერად „ჰამლეტის“ დადგმას ფიქრობდა.

— ამით სახელის მოხვეჭა ადვილიაო, — ჩაილაპარაკა თავისთვის. მან სოფელ-ში ჰამლეტის შემსრულებელიც გამოიხა. ვერ წარმოიდგენთ პიპინიას აღტაცე-ბას. განა სოფლად არ იმალდება ნიჭი, რომლის გამომძედავენებელი კაცი არ არის? დაიმედებული რომ ახალდმოხენილი არ გააწბილებდა მას, გულმოდგი-ნედ შეუდგა პიესის მზადებას.

ერთ დღეს პიპინიას კაბინეტის კარები შეაღო იმავე სოფლის მასწავლებელ-მა და თავდაბლად მიესალმა.

— დაუფი მაგერა! — მიმართა პიპინიამ ზრდილობიანად.

მასწავლებელი საშფება სკამზე დაეშვა და თავი მაგრად ეჭირა, რომ არ გადავირავებელიყო.

— რისთვის გარჯილხარ? — შეეკითხა პიპინია და ამაყად პაპიროსი გააბოლა.

— პიესა მოვიტანე თქვენი კლუბისათვის, წაიკითხეთ, თუ მოგეწონებათ დასდგით, თუ არა და გთხოვთ შეცდომებზე მიმიითოთ, რომ შემდეგისათვის გამოვასწორო. — უთხრა დარცხვენით მასწავლებელმა და პიესა გადასცა.

— რა წერია შიგ!

— ე. ი. შინაარსს მეკითხებით, არა?

— ჰო, შინაარსი მითხარით მოკლედ და კონკრეტულად.

— ამ პიესაში ბატონო, — დაიწყო მასწავლებელმა, — გამოყვანილი მყავს ერთ-ერთი მანებელი. პირველ მოქმედებაში ნაჩვენებია, თუ როგორი ხრიკებით და გაიძვერობით შეძრება იგი კოლმეურნეობაში, მეორე და მესამე მოქმედებაში ნაჩვენებია მისი მანებლური მუშაობა — კოლმეურნეობის საქონლის გაწყვეტა, ახლად აშენებული კლუბის დაწვა, მეოთხე მოქმედებაში კი იხსნება კვანძი — მიაგ-ნებენ ამ ბოროტმოქმედების კვალს, დამნაშავეს მის დამკაშვებთან ერთად აპატიმ-რებენ. სულ ეს არის, ჩემო ბატონო.

პიპინიას შუბლზე ორი თითი მიეყრდნო და გაოცებული სახით შეჭყურებდა პიესის ავტორს. დამთავრა თუ არა დრამატურგმა პიესის შინაარსის თხრობა, პიპინია გველნაკენივით წამოვარდა ზეზე.

— დიდუ! — შეჭყვირა მან. — მლუპე კაკალ კაცს? მეც მლუპე და თავსაც ილუპავ!

— რატომ ბატონო! რა არის აქ დასალუპი?

— ერთი მითხარი, შენ პირველ მოქმედებაში იცოდი თუ არა, რომ ეს კაცი მანებელი იყო?

— მე... მე... რასაკვირველია, ვიცი, თუ რასა ვწერ და რა უნდა დავწერო შემდეგში. ისე...

— დიდუგ, დიდუგ! პიპინია რომ შორსმჭვრეტელი არ იყვეს, ახლა ხომ დაი-ლუპებოდი შენც, მეც და მთელი მსახიობებიც. საციხო საქმეს მიზადებ შე კაი კაცო?

— არაფერი მესმის, ბატონო პიპინია, რა არის აქ საციხო? — ეკითხებოდა გაკვირებული მასწავლებელი.

— ბიჭო, ამდენი ოფლი და შელანი დაგიხარჯია, მყდარხარ და გიწერია და ხეირიანად ვერ დაწერე? თუ კი შენ პაწას მაინც არ ემხრობი იმ მანებელს — რაგა დევიჯერო, რომ იმას მეოთხე მოქმედებამდე მიაღწევინებდი და პირველშივე არ დაიჭერდი. შე კაი კაცო, თუ კი პირველ მოქმედებაშივე იცოდი, რომ ის კაცი მანებელი იყო, ცხადია იცოდი თვარა რომ არ გცოდნოდა, ხომ ვერ და-წერდი. ხოდა რადს აცალე სახლების დაწვა და საქონლის დაწყვეტა? პირველ მოქმედებაში ვერ დააპატიმრე? ეხლა გასწი, ეგ პიესა მოსპე და უმადლე პიპინიას გულკეთილობას, თვარა მაგნაირი შეცდომისათვის საცა ადგილია, იქ გაგისტუმ-რებდა.

მასწავლებელი გამოვიდა კაბინეტიდან და თავისი ნაწარმოები წარადგინა იქ, სადაც პიესის დამდგმელების საქმიანობასაც იპილავენ.

სულ რამოდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ. პიპინია ქუჩაში შეხვდა იმავე მასწავლებელს და გულნატკენმა უსაყვედურა;

— შე კაცო, თუ ასე კაი იყო ი შენი პიესა. ვერ თქვი? რაზე მოახსენე ჩემი თავი?

— რას ბრძანებთ? მე მხოლოდ პიესა მიგუტანე განსახილველად, განიხილეს, მოიწონეს და მითხრეს შესაფერისია ჩვენი კლუბისათვისო.

— ხოდა მეც მიტომ დამიწუნეს და მითხრეს შეუფერებელი ხარ ჩვენი კლუ-ბისათვისო.

# სცანა ყოვნი სიკაჯხანასთან

მეტეხის მუზეუმთან, პატარა მოედანზე ცხვის მთელი ფარა მოუტრეკიათ. კომბლიანი მეცხვარეები მუშტარს ელოდებიან. მოდის ერთი ახმახი მოქალაქე, ცხვარს ზურგზე ხელს გაჰკრავს; იწუნებს „გამხდარიო“ და ფასს მაინც კითხულობს.

- თუ გამხდარია და არ ვარგა, ფასს რალაზე მეკითხები!— უკვირს მეცხვარეს.
- ვა, მამაცხონებულო, ტარანი თვლით არ არის? გამხდარს გამხდარი ფასი აქვს, რას გაგიკვირდა!

მეცხვარე კი ჯიუტია, არაფერს არ უყურებს, მაინც მსუქანი ფასი უნდა აილოს ცხვარში, ვერ რიგდებიან, გახურებული ვაჭრობაა.

ამ დროს ავლაბრის ბაზრიდან აგენტი მოდის. ჩეკების ვებერთელა კონით ხელში ერთერთ მეცხვარეს მიადგება:

- რამდენი სული გყავს?
- შვიდიათასი.
- აგენტი გაკვირვებით ათვალეირებს აქაურობას და ხვდება მეცხვარის შეცდომას.
- მე სოფელში არ გეკითხები, აქ რამდენი გყავს?
- აქ? ხუთი.
- ათ თუმანს გადაიხდი.
- რისას, ძმაო, მაშ მთელ ფარას ხომ აქ არ ჩამოვრეკავდი. სად გავიწილა?
- ბაზრის გადასახადია, ადგილის ფული, ყველამ უნდა გადაიხადოს, ლაპარაკი ზედ-

მეტია!

მეცხვარე იხდის ას მანეთს და ჯიბეში იდებს რამოდენიმე ქვითარს. ხუთი წუთის შემდეგ მეცხვარეს მილიციელი მიადგება:

- რამდენი სული გყავს?
- ხუთი.
- ათ თუმანს გადაიხდი.
- ვაჰ! ეგ რილასია?
- ეგ ჯარიმაა.
- რა დავაშავე, ეგ მაინც მითხარი.
- რა დავაშავე და აქ ქუჩაა, ბაზარი რომ გაგიმართავს, ქუჩაში ვაჭრობა ვის გაუვია!
- მაშ ბაზრის კაცმა რალად გადამახდევინა ადგილის ფული?
- ბაზრის კაცი ბაზრის კაცია და მე კი მე ვარ, იმას თავისი მოვალეობა აქვს, მე—

ჩემი.


მეცხვარე ას მანეთს კიდევ იხდის, ჯიბეს ქვითრებს უმატებს, ცხვრებს წამოუვლის და შესძახებს:

- ჰაგიჩო! მოვშორდეთ აქაურობას, თორემ თქვენი ფასი გაიზრდება.

ხიში-კაპური

## დასაბუთებული თხოვნა

ნახ. ე. მაყაშვილისა



— გთხოვთ, შელავათიანი სასჯელი მომცეთ, — თქვენი სასამართლოს ძველი კლიენტი ვარ, ხულიგნობისათვის მულამ აქ მასამართლებენ ხოლმე.

# ბაკათაბი ნიანგს

ამ. ნიანგო!

26 კომუნარტა სახელობის რაიონს ერთი საერთო საარგებლობის აბანო გააჩნია. ეს აბანო ნუ შეიქმნა მეოთხე და ჰქვიან ზედმიწევნით ლამაზი სასული „გოგოლო“. მაგრამ, მოგეხსენებათ, აბანოა — შინგო, რომ მართო ლამაზი სახელი საქმეს არ შევლის, საჭიროა ხსენებული აბანო მოწყობილობითაც ლამაზი იყოს და ალბათ ამის გამოა, რომ აბანოს მესვეურები ძალიან ბევრს ცდილობენ მათდამი რწმუნებულ დაწესებულებების მოწყობილობის მხრივ გაღამაზებისათვის; 25 დღეს დაკტილი აქვთ „გოგოლო“ და კარგზე უკიდიათ დიდი წარწერა: „რემონტი“. დანარჩენ 5 დღეს მობანავეებს უშვებენ შიგნით და აჩვენებენ, რომ არავითარი რემონტი არ გაუკეთებიათ. ანდა რის რემონტი უნდა გაუკეთონ, აბანოც ხომ თავისი დირექტორია არ არის, რომ რემონტი სკირდებოდეს?

დ. შაბანელიძე

ამ. ნიანგო!

26 კომუნარტა სახ. რაიონის საფოსტო განყოფილებაში გაზეთების დამტარებლად მუშაობს ვინმე აკოფოვი. ეს რასაკვირველია ელნათურასავით იშვიათად გამოანათებს ხოლმე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ გამოანათების დროსაც ბნელ საქმეებს აკეთებს: ჩამოშვლის გაზეთზე ხელის მომწერებს და ჰკრებს თითოეულისგან 6-6 მანეთს, თითქოს იმის გამო, რომ ეს გადასახადი ფოსტის მიერ დადგენილი იყოს და მიზნად ისახავდეს მისი (აკოფოვის) ფენსაცემლებით შემოსვას. 6 მანეთს, რასაკვირველია, არავინ უტყვრს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ჯილდოთი“ გახალსებულ აკოფოვი გაზეთებსაც გვიკარგავს. როდესაც შევეკითხებით, „გაზეთი რა იქნა“, აკოფოვი რიბიანად აცხადებს: „გავეყიდე და ხაში ვჭამო!“ ამ. ნიანგო, იქნებ თქვენ მაინც შეაგნებინოთ დამტარებელ აკოფოვს, რომ ხაში ნიორი ურეგია და თუ შიგ ალალი შრომით ნაშენ ფულს არ იხდი, ხშირად პირის დაწვა იცის.


დ. ლავლიანიძე

## ბაკათი სოსუმიდან

გაოფლიანებული მგზავრი გაფაციცებით ეძებდა დასაღვე წყალს და გამშრალ ტუჩებს ენით ისველებდა.

- თქვენ რას დაეძებთ? — შევეკითხე თანაგრძობით.
- წყურვილი მაზრის, მიმასწავლეთ სად შეიძლება დაღვევა.
- სოხუმის სადგურში, ჩემო ძმაო, წყალს ვერ იშოვნი, შეიარეთ ბუფეტში და ღვინო დალიეთ.
- წყლის მაგიერობას ღვინო როგორ გამოიწვევს? — შემომჩივლა მგზავრმა.
- თუ კი წყალი ამ ბუფეტში ღვინის მაგიერობას სწევს, როგორ არ შეიძლება ღვინომ წყლის მაგიერობა გასწიოს?
- არ მესმის თქვენი ლაპარაკი. — აიჩიო მგზავრმა მხრები და მაინც ბუფეტისაკენ აილა გეზი.
- დასაღვევი ხომ არაფერი გაქვთ? — მიმართა მგზავრ. — გა ბუფეტის გამგე კოსტია.
- აბა აქანა რაის მოხელე ვყოფილვარ, ბოშო! ჩამოვასხა? ინებებთ?
- მგზავრის ისე ჰქონდა გამშრალი ხახა, რომ ხმა ვერ ამოილა და თავი დაუქნია.
- კოსტამ კასრიდან ჩამოასხა სითხე და ბოთლით მიართვა მგზავრს.
- მგზავრმა მყისვე მოიყუდა სითხე და ბოთლი თვალის დახამამებაში გაათერა.
- მართლა და გემრიელი კვასი ყოფილა, — რამდენი მოგართვათ?
- სამოცდაათი მანეთი, ბატონო.
- მგზავრმა გადუხადა ფული და და-ყოლა:
- შე დალოცვილო, მაგ ფასად ღვინოსაც კი დავლევდი.
- ვის აყენებ შეურაცყოფას ბოშო, ღვინო არაა მაგი თუ?
- როგორ გეკადრებთ, ამ სითხეს ღვინოს ვინ დაუძახებ?
- ჩვენი ორსი ღვინოს უძახის და მეუბნება 70 მანეთად გაყიდვო.
- მომეცი მაშ საჩივრის წიგნაქი!
- ტყუილბრალოდ თავს ნუ შეიწუნებთ, იჩქარეთ მატარებელმა არ გაგასწიოს, საჩივარი რომ წყალს აღვინებდეს — მე ვერავინ მომასწრებდა ჩაწერას.


მ. კალმოსანიძე



1. ეს იყო დიდხნის წინაღ. მივიდა ონიფანტე მკერვალ თერაფონტესთან და უთხრა:


— ორი კვირის შემდეგ ჯვარს ვიწერ, შემიკერე ამ მატერიის კოსტუმი.

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს. მოდი ქორწილის წინაღღეს და ჩაიცვი ახალი კოსტუმი.



2. უკაცრავად, ჩემო ონიფანტე, ვერ მოვასწარი, იოლას წადი და სხვა დროს მოვიშაღებ კოსტუმსო, — მოუბოდიშა თერაფონტემ. დაღონებული ონიფანტე დაბრუნდა და ჯვარი სხვის კოსტუმში დაიწერა. ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, ბევრჯელ მიაკითხა, მაგრამ პასუხი ერთი იყო:

— ვერ მოვისწარი, მოვიცილი და უკეთესად შეგიკერავო.



3. ერთ დღეს ონიფანტე, ახალგაზრდა ჭაბუკთან ერთად კვლავ შევიდა მკერვალთან.


— ეს ჩემი შვილია, მალე მამაში ხელს აწერს. რადგან მე ვერ მომისწარი, ამას მაინც შეუკერე ის კოსტუმი. — მიმართა მან თერაფონტეს თხოვნით.

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს, მოდი ქორწილის წინაღღეს, კოსტუმი სწად იქნებაო.




4. დანიშნულ დროს მიაკითხეს.

— ბოდიშს ვიხდი ჩემო ონიფანტე, ვერ მოვისწარიო. ამ ახალგაზრდამ როგორმე ხელი მოაწეროს და კოსტუმს უკეთესს შეგუკერავო.



5. გავიდა დრო, ონიფანტემ თავისი შვილი და შვილიშვილი მიიყვანა.

— რაკი ვერც მე და ვერც ჩემს შვილს პირობა ვერ შეგვისრულე, ამ ჩემს შვილიშვილს მაინც შეუკერე მეზღვაურული ტანსაცმელი იმ ჩემი საკოსტუმედან ახალგაზრდობაში რომ მოგაბარეთ, — უთხრა თერაფონტეს.



6. თერაფონტე გაბრაზდა, ონიფანტეს მატერია თაროდან გადმოიღო, ხავსი და მტვერი გადაბერტყა, გადმოუხეთქა და გულმოსულად უთხრა:

— წადი შენი სინსილაც არ იყოს, მე საჩქარო შეკვეთები არ მიყვარსო.

საკრედიტო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1945 წ. 10/VIII ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 47. შეკ. № 915. ტირ. 7500. შე № 01755